



## „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“

2017 წლის 20 აპრილს 14:00 საათზე, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ბორჯომში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლები“.

ღონისძიების მიზანია საზოგადოებას კიდევ ერთხელ დავანახოთ რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და ევროპას მჭიდრო კავშირი ქონდა. ამის უტყუარი და საუკეთესო დასტური კი სწორედ ხელნაწერი მემკვიდრეობაა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იყრის თავს.

საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მონაკვეთს, ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ხალხებთან, ქართული კულტურა არასდროს ყოფილა იზოლირებული და ჩაკეტილი. საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დასავლეთისკენ ისწრაფოდა, რაც გამოიხატებოდა როგორც მათ საზოგადოებრივ წყობაში - ფეოდალიზმში, ასევე იმ ინტერესში, რასაც ქართველი ხალხი ევროპული მიღწევებისა და ევროპული ნააზრევის მიმართ იჩენდა. ევროპელი მოგზაურების მიერ დატოვებული საქართველოსა და ქართველების მრავალრიცხოვანი აღწერილობებიც ამის დასტურია.

წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ხელნაწერები ეს არის ქართველი ხალხის ევროპასთან ურთიერთობის ამსახველი წერილობითი ძეგლები, სწორედ ეს მასალა იქნება წარმოდგენილი გამოფენაზე ფოტოების სახით.

აღსაღნიშნავია, რომ გამოფენა 30 მარტს თბილისში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიხსნა. 3 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით გამოფენას უფლისციხე მასპინძლობდა. გარდა ამისა გამოფენა კიდევ რამდენიმე ქალაქს მოივლის: ქუთაისი, ფოთი, ოზურგეთი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, მესტია. გამოფენების მთელი ციკლი ემდგვნება საქართველოს მიერ ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის უმნიშვნელოვანეს მოვლენას.

თითოეულ აღნიშნულ ქალაქში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს სალექციო შეხვედრას. ლექციას გაუძღვებიან ცენტრის მეცნიერი თანამშრომლები. ასევე სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მომზადებულია პოსტსაექსკურსიო საგანმანათლებლო აქტივობა, რომელიც პედაგოგებს საშუალებას მისცემს გამოფენაზე ვიზიტის შემდეგ კლასში დაგეგმონ ჯგუფური აქტივობები: 1. ჯგუფური სამუშაო გამოფენაზე წარმოდგენილი თემატიკის მიხედვით საგანგებო კითხვარის მეშვეობით; 2. გააფერადე „ვეფხისტყაოსნის“ მიხაი ზიჩისეული

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

**მარიამ ჯაბიძე**

[mariamjavidze@gmail.com](mailto:mariamjavidze@gmail.com)

598 175 777; 577 977 199

**თამარ გურგენიძე**

[friends@manuscript.ac.ge](mailto:friends@manuscript.ac.ge)

599 899 628

ილუსტრაციები. ასევე, პროექტის საგანმანათლებლო სივრცისათვის საჭიროებსა და დაკავშირებით ყველა რეგიონულ გამოფენაზე საგანგებო კონსულტაციები გაიმართება ექსპოზიციაზე მისულ ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგებთან.

ღონისძიება ქ. ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართება და გასტანს 30 აპრილამდე.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

[mariamjbidze@gmail.com](mailto:mariamjbidze@gmail.com)

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

[friends@manuscript.ac.ge](mailto:friends@manuscript.ac.ge)

599 899 628